სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080171058707117

 # 2550

13 / სექტემბერი **/**
2017 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 8 სექტემბერს (18:46 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს SMP170002194 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვას (CPV60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმდინარე წლის 22 აგვისტოს, რეგიონების მიხედვით გამოაცხადა NAT170009960, NAT170009962, NAT170009964, NAT170009965, NAT170009956 და NAT170009958 ელექტრონული ტენდერი, რომელთაგან ოთხი ტენდერი - NAT170009964, NAT170009965, NAT170009956 და NAT170009958 გასაჩივრდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში. საჩივრის განხილვის ვადა იწურება 2017 წლის 13 სექტემბერს. შესაბამისად, ვინაიდან შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს თუ როდის იქნება შესაძლებელი აღნიშნული ტენდერების ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი იწყება მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სატრანსპორტო მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო მოცულობის შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმდინარე წლის 22 აგვისტოს, რეგიონების მიხედვით გამოაცხადა NAT170009960, NAT170009962, NAT170009964, NAT170009965, NAT170009956 და NAT170009958 ელექტრონული ტენდერი, რომელთაგან ოთხი ტენდერი - NAT170009964, NAT170009965, NAT170009956 და NAT170009958 გასაჩივრდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში. საჩივრის განხილვის ვადა იწურება 2017 წლის 13 სექტემბერს. შესაბამისად, ვინაიდან შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს თუ როდის იქნება შესაძლებელი აღნიშნული ტენდერების ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი იწყება მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სატრანსპორტო მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო მოცულობის შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება საზოგადოებრივ ინტერესებს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო კრიტიკული მოცულობის შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს SMP170002194 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე